ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2578331

ნომერი: AR1399235

თარიღი : 25.04.2016

გაცემის თარიღი : 04.05.2016

გაცნობის თარიღი : 04.05.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , ქუჩა ინტენსიფიკაციის , ნაკვეთი 01/213 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი დონაძე პ/ნ 01024039675
- ფანასკერტელის 11კ

ორგანიზაცია:

- GLG-GROUP კოდი: 404957187

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ბანერები საკმაოდ გადატვირთული ვიზუალის მატარებელია. აბრებზე აისახოს მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი წარწერები, მათზე სხვადასხვა ტიპის ნახატების განთავსება არაა მისაღები. აბრები მოეწყოს მხოლოდ შენობის ფასადზე, მოწესრიგებული სახით, მიწის ნაკვეთზე ცალკემდგომი აბრის განთავსება მიუღებელია. აღნიშნულის შესაბამისად დაკორექტირდეს დოკუმენტაცია.

დამატებით წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, მასზე საპროექტო არეალების მონიშვნით.

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.